# საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიში

*თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო*

*საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:* მამუკა კაკაბაძე

*საკრებულოში დაკავებული თანამდებობა:* ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი

*ფრაქციის წევრობა:* ფრაქცია „ქართული ოცნება“

*კომისიის (კომისიების) წევრობა:* 1. ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია;

2. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

*არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): პროპორციული სიით*

*საანგარიშგებო პერიოდი:* 2026 წელი

---

## განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი
   11 სხდომა
2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა
   129 საკითხი

3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა
   0

4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა
   ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია - 8 სხდომა
   იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია - 10 სხდომა

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა
   ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია - 43 საკითხი
   იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია - 95 საკითხი

6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა

   0

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები

   5

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა

   80-ზე მეტი შეხვედრა.

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა

   500-ზე მეტი ადამიანი

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები

1. გონიოს ბავშვთა ბაღის დაუსრულებელი მშენებლობა;
2. სვიმონ კანანელის ქ. #1-ის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია;
3. მეფე მირიანის ქუჩაზე წყალმომარეგების ქსელის მოწყობა;
4. გონიოს ყოფილი ციტრუსების მეურნეობის დასახლებაში, შიდა გზებზე ბეტონის საფარის დაგება;
5. ავგიის ქუჩის გზის რეაბილიტაცია;
6. ავგიის ქუჩაზე დაზიანებული საკანალიზაციო მილების შეცვლა;
7. მატათა მოციქულის ქუჩის მიმდებარედ, სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწესრიგება;
8. აფსაროსის მეორე ჩიხი, #5ის მიმდებარედ ბავშვთა გასართობი სივრცის მოწესრიგება;
9. აფსაროსის მესამე შესახ. კორპუსების დასახლებაში ასფალტის საფარისა და გარე განათების მოწესრიგება;
10. პეტრე იბერის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემა;
11. აფსაროსის მესამე შესახ. სანაპიროზე გასასვლელი გზისა და ხიდის რეაბილიტაცია;
12. აეროპორტის გზატკეცილზე, სამრეწველო ზონის შესახვევთან (სარიტუალო დარბაზ „ნიუ გოლდის“ მიმდებარედ) გზის საფარის რეაბილიტაცია;
13. აეროპორტის გზატკეცილზე, სამრეწველო ზონის შესახვევთან (სარიტუალო დარბაზ „ნიუ გოლდის“ მიმდებარედ) მუდმივი საცობები;
14. აფსაროსის გზატკეცილზე ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელების (ე.წ. ზებრების) არარსებობა.

11. სხვა განხორციელებული საქმიანობები

## შედეგი, ეფექტი:

1. სვიმონ კანანელის ქ. #1-ის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია დაწყებულია და დეკემბერში მოხდება მუნიციპალიტეტზე ჩაბარება;
2. მეფე მირიანის ქუჩაზე წყალმომარეგების ქსელის მოწყობა დასრულდა მიმდინარე წლის მაისში;
3. გონიოს ყოფილი ციტრუსების მეურნეობის დასახლებაში, შიდა გზებზე ბეტონის საფარის დაგება ბოლო ერთი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა და დარჩენილია რამოდენიმე ჩიხი მხოლოდ;
4. ავგიის ქუჩის გზისა და წყალანირების შესახებ მუნიციპალიტეტმა ოქტომბრის თვეში დაასრულა სატენდერო პროცედურები და გამოვლენილია შემსრულებელი კომპანია;
5. მატათა მოციქულის ქუჩის მიმდებარედ, სასაფლაომდე მისასვლელი გზა მოწესრიგდა კეთილმოწყობის სამსახურის მიერ;
6. აფსაროსის მეორე ჩიხი, #5ის მიმდებარედ ბავშვთა გასართობი სივრცის განახლდა მერიის სერვისების სამსახურის მიერ;
7. აფსაროსის მესამე შესახ. კორპუსების დასახლებაში წლის ბოლოდან დაგეგმილია 4 სკვერისა და მიმდებარე ტერიტორის მოწყობა-მოპირკეთება;
8. აფსაროსის მესამე შესახ. სანაპიროზე გასასვლელი გზისა და ხიდის რეაბილიტაცია მოხდა მიმდინარე წლის იანვარში;
9. აეროპორტის გზატკეცილზე, სამრეწველო ზონის შესახვევთან მოუწესრიგებელი გზის მონაკვეთი მოწესრიგდა და საცობების რაოდენობა-ინტენსივობამ იკლო;
10. აფსაროსის გზატკეცილზე ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელების (ე.წ. ზებრების) დახაზვასთან დაკავშირებით წერილობით მივმართე საქართველოს ცენტრალური გზების დეპარტამენტს, შესაბამისად მიმდინარე წლის აპრილში დაიხაზა და მოეწყო ახალი 3 ფეხითმოსიარულეთა გადასასვლი.

*განხორციელებული საქმიანობების შედეგად მიღებული შედეგი, მაგ. ანგარიშის წარმდგენის მიერ ინიცირებული რამდენი პროექტი იქნა მიღებული საკრებულოს მიერ, რა შესრულდა ამომრჩევლის წინაშე აღებული ვალდებულებებიდან*

## შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

1. გონიოში პეტრე იბერისა და იოანე ლაზის ქუჩების წყალმომარაგების პრობლემის მოგვარება, ბიუჯეტში შესაბამისი ხარჯების გათვალისწინებისთვის ადვოკატირება;
2. გონიოს პრომინადის (ბულვარის) რეაბილიტაცია და განვითარება;
3. გონიოს საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია;
4. გონიო-კვარიათის, სარფისა და ახალსოფლის ზონაში წყალარინების (კანალიზაციის) სისტემების რეაბილიტაცია-გაფართოება.